ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი **24.07.2020 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **ვერიკო კვირკველია.**

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახა ასკურავა.
სხდომის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ,** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0
დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ. პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ, კომისიამ განიხილა ბიუჯეტის ცვლილება, რომელიც განპირობებული იყო: მიმდინარე წელს COVID 19 პანდემიის გამო განვითარებული მოვლენების შედეგად რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, შესაბამისად შემცირდა საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი, რის გამოც „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების კუთვნილი დაბალანსებული ღირებულების გადასახადის პროგნოზული განაწილების გათვალისწინებით, 2020 წელს ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო მაჩვენებელი შემცირდა 1139,9 ათასი ლარით, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა შემცირდეს ბიუჯეტის გათვალისწინებული ხარჯები, რაც უნდა აისახოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-3
წინააღმდეგი – 0
კომისიამ მოამზადებულად ცნო საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2.დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლაზჩხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ. კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განსახილველად წარდგენილი პროექტი გულისხმობს „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კონკრეტულად 72-ე მუხლის მოთხოვნების თანახმად, წარმოდგენილ დადგენილების პროექტში აღნიშნული ცვლილებების ასახვას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-3
წინააღმდეგი – 0
კომისიამ მოამზადებულად ცნო საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №4

ქ.ლანჩხუთი 24.07.2020 წელი

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

დასკვნა:

კომისიამ მოამზადებულად ცნო საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

დასკვნა:

კომისიამ მოამზადებულად ცნო საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.07.2020 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	11.00	
2	კახა ბოლქვაძე	11:55	
3	გოდერძი ჭურიძე	11 55	
4	კახაბერ ასკურავა		